# გარეჯის მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №22(204) 2019 წ. 16-30 ნოემბერი ფასი 1 ლარი


## მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

21 ნოემბერი, 2019წ



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი უძღვებოდა. დღის წესრიგის I საკითხზე „ავთანდილ გოგიაშვილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გადარჩევის შესახებ“ და მეორე „თენგიზ ძირკველიშვილის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ“ საკითხებზე მოხსენებები გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ უსტიაშვილმა.***

***დღის წესრიგის III საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ოთარ ჩალათაშვილის 2019 წლის წლიური ანგარიში“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ოთარ ჩალათაშვილმა (მოხსენებას გთავაზობთ სრულად):***

– გაცნობიერებული მაქვს რა ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც დამაკისრა თითოეულმა ამომრჩეველმა როგორც საკრებულოს მაჟორიტარ წევრს ქ.საგარეჯოდან, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის დღიდან ჩართული ვარ მუნიციპალიტეტის წინსვლისა და განვითარებისათვის მიმდინარე ყველა ღონისძიებაში.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ერთ-ერთი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ ამომრჩეველს წარვუდგინო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

2018 წელს ანგარიში წარმოვადგინე 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 1 ნოემბრამდე. შესაბამისად წარმოგიდგენთ მორიგ წლიურ ანგარიშს 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც თქვენთვის ცნობილია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად პირადაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 37 წევრისგან, საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს წვერის კონსტანტინე ღოღელიანის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის გამო, 2019 წლის 20 მაისის რიგგარეშე არჩევნებზე არჩეულ იქნა სოფელ უჯარმის მაჟორიტარი წევრი ზურაბ შინდელაშვილი.

დღეისათვის საკრებულოში შექმნილია 5 ფრაქცია და 5 მუდმივმოქმედი კომისია. საკრებულოში ფუქნციონირებდა მუნიციპალიტეტის სოფლების დამისამართების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც წარმატებით დაასრულა საქმიანობა და დამისამართების სამუშაოები გადასულია შემდეგ ეტაპზე (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მიმდინარეობს დამისამართების პროცესი).

საკრებულოს ბიურო შედგება 12 წევრისგან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები.

**საკრებულოს ფრაქციებია:**

1. ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – თავმჯდომარე ელდარ მეფარიძე. მოადგილეები: ივანე ბეჟიაშვილი, აიაზ ბაირამოვი.
2. ფრაქცია - „ქართული ოცნება - მრეწველები“ – თავმჯდომარე ალექსანდრე მეზვრიშვილი, მოადგილე გიორგი მუჩიაშვილი.
3. ფრაქცია - „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ - თავმჯდომარე ალექსი იოსელიანი მოადგილე დავით არაბული.
4. ფრაქცია -„ქართული ოცნება - მწვანეები“ - თავმჯდომარე ნიკო ნახუცრიშვილი, მოადგილე თენგიზ ძირკველიშვილი .
5. ფრაქცია - „ქართული ოცნება -სოფლის განვითარებისთვის“ - თავმჯდომარე ვეფხია ჩერქეზიშვილი, მოადგილე ზურაბ ჭიკაძე.



ფრაქციები სხდომებზე პერიოდულად განიხილავენ საკრებულოში შემოსულ საკითხებს.

**საკრებულოს კომისიები:**

მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზურაბ უსტიაშვილი.
2. საფინანსო - საბიუჯეტო კომისია – თავმჯდომარე ელენე სამხთუაშვილი.
3. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - თავმჯდომარე გივი ბედიაშვილი.
4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე თამაზ ურდულაშვილი.
5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ივანე ივანიშვილი.

დამტკიცებულია საკრებულოს კომისიების სამუშაო გეგმები.

საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან:

1. საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილება.
2. მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილება.

საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 17 პროფესიული საჯარო მოსამსახურე და 6 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ორი ღია და ერთი დახურული კონკურსი აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

საკრებულოს სხდომების სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში ჩატარებულია:

1. საკრებულოს ბიუროს 21 სხდომა
2. საკრებულოს 17 სხდომა,
   - 11 მორიგი
   - 8 რიგგარეშე.
3. მიღებულია 70 გადაწყვეტილება,
   - 17 დადგენილება
   - 53 განკარგულება.
4. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 168 ბრძანება.

მიღებული სამართლებრივი აქტები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

5. საკრებულომ მერის მიერ ინიცირებული საკითხებიდან დაიწუნა საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა. კორექტირება განიცადა მერიიდან შემოსულმა რამდენიმე სამართლებრივმა აქტმა.

წარმოგიდგენთ კომისიის სხდომების სტატისტიკას:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია - ჩატარებულია 12 სხდომა, განხილულია 22 საკითხი.
2. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - ჩატარებულია 13 სხდომა, განხილულია 23 საკითხი.
3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - ჩატარებულია 17 სხდომა, განხილულია 39 საკითხი.
4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია-

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**21 ნოემბერი, 2019წ**



**გაგრძელება**

ჩატარებულია 12 სხდომა, განხილულია 22 საკითხი.

5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - ჩატარებულია 11 სხდომა, განხილულია 16 საკითხი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლით დადგენილი საკრებულოს უფლებამოსილებების შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკრებულოს საქმიანობას კონკრეტული სფეროების მიხედვით:

1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში:

ა. ჩემს მიერ ინიცირებულია ქ.საგარეჯოში წიფლისხევის ქუჩის ნაწილისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების საკითი. დოკუმენტაცია გადაგზავნილია სამთავრობო კომისიაში.

2. ორგანიზაციულ საქმიანობის სფეროში

ა. საკრებულოს შემადგენლობამ განიცადა ერთი ცვლილება, 2019 წლის 19 ივნისს საკრებულომ სცნო ზურაბ შინდელაშვილის უფლებამოსილება.

ბ.ცვლილებები შევიდა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში.

ა. საკრებულოს მიერ მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერი რიგგარეშე ანგარიშის წარმოსადგენად.

ბ. ჩვენს მიერ გაცემულია რეკომენდაციები ბიუჯეტის შესრულებასთან და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით.

გ. ამჟამად დაგეგმილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მორიგი წლიური ანგარიშის მოსმენა.

დ. საკრებულომ მერის ინიციატივით შეიტანა ცვლილება მერიის საშტატო ნუსხაში. ამ ცვლილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერს მიეცა შესაძლებლობა დადებული შრომითი ხელშეკრულებების რაოდენობა მოეყვანა კანონთან შესაბამისობაში. ამჟამად მერიის მოქმედი საშტატო ნუსხა სრულ შესაბამისობაშია „ადგილობრიოვი თითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ საშტატო რიცხოვნების ფორმულასთან.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში.

ა. 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებით დამტკიცებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესულია 10 ცვლილება:

ა.ა. პირველი ცვლილებით:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 1 434,500 ათასი ლარით, გადასახდელები სახ. ბიუჯეტით გაიზრდა 2 425,146 ათასი ლარით და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე 1 775,670 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №2577 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 1 434,500 ათასი ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 იანვრის №2577 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი დაფინანსებიდან:

1) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 294 500 ლარი; კერძოდ ქ.საგარეჯოში სათავის ქუჩის წმინდა გიორგის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები - 294500ლარი; (თანადაფინანსება 15 500 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში).

2) წყლის სისტემის რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯებს დაემატა 1 140 000 ლარი; კერძოდ დაფინანსდა სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის II ეტაპი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტების 5%-ით თანადაფინანსება, 60000 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში.

ა.ბ. მეორე ცვლილებით

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის,რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 1049,541 ლარი. კერძოდ:

- ქ.საგარეჯოში სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 198 702 ლარი; (თანადაფინანსება 10458 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში).
- ქ.საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 250 192 ლარი; (თანადაფინანსება 13168 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში).
- სოფელ მანავში ე.წ. „ტურის უბანში“ ა/ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები 600 647 ლარი (თანადაფინანსება 31613 ლარი გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში).

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 329 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განისაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.

- საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი 360 000 ლარი;
- მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, 63130 ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსდა

- წყლის სისტემის რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯები - 80557 ლარი;
- სოფელ ლამბალოში ხუთ სხვადასხვა უბანში საუბნო ონკანების მოწყობა - 24778,63 ლარი;
- სოფელ გიორგიწმინდაში დაზიანებული რეზერვუარის ამოცვლა ახლით 17997,24 ლარი;

თანხის დამატება დამტკიცებულ ბიუჯეტში გათვალისწინებულ ობიექტებზე:

- სოფელ მზისგულში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია -31493,37 ლარი;
- სოფელ ყანდაურაში რეზერვუარისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები -4472,43 ლარი;
- სოფელ ზემო ყანდაურაში რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები - 1814,74 ლარი.
- სპორტული მოედნების მოწყობა–რეაბილიტაცია - 29237 ლარი; (ქ.საგარეჯოში ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე მინი-სტადიონის და სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოები, ხელშეკრულება№123/1 14.11.2018წ);

სკოლამდელი დაწესებულებები -101889 ლარი

2018 წელს გამოცხადებული ტენდერები:

- საგარეჯოში გ.ლეონიძის ქუჩაზე მდებარე №6 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები 12510.02 ლარი;
- სოფელ ნინოწმინდაში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 27676,14 ლარი;
- ქ. საგარეჯოში ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9485,24 ლარი;
- სოფელ წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2048,99 ლარი;
- ქ. საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთების სამუშაოები - 1979,92 ლარი;
- სოფელ გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში წყალმომარაგების და კანალიზაციის რეაბილიტაციის სამუშაოები - 2168,23 ლარი;
- ქ. საგარეჯოს 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები - 9382.69 ლარი;
- სოფელ პატარძეულის 2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 18410,53 ლარი;
- სოფელ პატარძეულის 1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები - 10111,9 ლარი;
- სოფელ პატარა ჩაილურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 2111,73 ლარი;
- სოფელ ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში შიდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 6002,78 ლარი;

მუნიციპალიტეტის სოფლებში შიდა გზების მოხრეშვის სამუშაოები, სავარაუდო ღირებულება- 80 000 ლარი.

საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება -100 000 ლარი.

სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 391683 ლარი.

ა.გ. მესამე ცვლილებით:

- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 1 420,630 ათასი ლარით,გადასახდელები სახ. ბიუჯეტით გაიზარა 1 420,630 ათასი ლარით.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის,რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებს დაემატა 721630 ლარი.

კერძოდ დაფინანსდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებაში „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“და საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოიყო 329 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №207 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებაში „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 370 000 ლარი.

ა.დ. მეოთხე ცვლილებით

დაფინანსდა

- ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები - 237652 ლარი, თანადაფინანსება 12508 ლარის გათვალისწინება მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
- ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოები - 371307 ლარი, თანადაფინანსება 19543 ლარის გათვალისწინება მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტის 2019წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შედარებით ნაკლები თანხებით: ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები 150000 ლარი და ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოები 249209 ლარი.

ბიუჯეტიდან გამოთავისუფლდა 399209 ლარი, რომელიც გადანაწილდა:

- ქ.საგარეჯოში გ.ქურდიანის ქუჩაზე ღვთისმშობლის ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების თანადაფინანსება 12508 ლარი და ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტების სამუშაოების თანადაფინანსება 19543 ლარი, სულ 32051 ლარი.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განსახორციელებლად პროექტების ხარჯთაღრიცხვების შესაძენად საჭირო თანადაფინანსება და ხარჯთაღრიცხვასა და განკარგულებით გამოყოფილ დაფინანსებას შორის სხვაობების დამატება.
- შპს სუფთა მუნიციპალიტეტი 2018 -ის სუბსიდიას დაემატა 33000 ლარი საწვავის ფასთა სხვაობის გამო (ბიუჯეტში დიზელის საწვავის ფასი გათვალისწინებული იყო 1,97 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერი შედგა 2,27 ლარზე (წერილი№63-02 09.01.2019წ);
- ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის სუბსიდის დაემატა 17700 ლარი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებელი სამუშაო ინვენტარის და იარაღების შესაძენად (წერილი№6 1.02.2019წ) და №7 4.02.2019წ).
- შპს გარეჯის მაცნეს ხელფასის ფონდზე დაემატა 2600 ლარი; (ბიუჯეტის დამტკიცებისას პროექტში არ გაითვალისწინეს თანამდებობრივი სარგოს მატების წლიური თანხა).
- ა.(ა)ი.პ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას“ დაემატა კომუნალური ხარჯი 600 ლარი.
- გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დასაფინანსებლად დამატებით გამოიყო 80 000 ლარი.
- სახელფასო დანამატის და ფულადი ჯილდოს გასაცემად მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების ფონდს დაემატა

*გაგრძელება მე-3 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**21 ნოემბერი, 2019წ**

**გაგრძელება**

72650 ლარი, საქონელი და მომსახურებას 10725 ლარი ( საკრებულო 17875+2600 ლარი და მერია 54775+8125 ლარი).

- „სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ გაწეული ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახეების, საფასურისა და ტარიფების დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 657 დადგენილებით საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (ე ოცუმენტ) მომსახურება გახდა ფასიანი. ერთი მომხმარებლის ერთი თვის მომსახურების საფასური დღგ-ის ჩათვლით შეადგენს საჯარო სექტორისთვის 8 (რვა) ლარს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სისტემის მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენს 163, ხოლო საკრებულოში - 26. სულ 189 მომხმარებელს, აქედან გამომდინარე ბიუჯეტში გავითვალისწინეთ მომსახურების საფასური 18 144 ლარი, საკრებულოს ხარჯებს უნდა დაემატა 2496 ლარი, მერიის ხარჯებს 15648 ლარი.
- სოფელ უჯარმის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით 20 ტონიანი რეზერვუარის შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 12000 ლარი;
- სოფელ უჯარმაში გარე განათების მოწყობა სავარაუდო ღირებულებით 10000 ლარი;
- დ-110 მმ-იანი დიამეტრის სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა 1 კმ-ზე სავარაუდო ღირებულებით 30000 ლარი.

ა.ე. მეხუთე ცვლილებით:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის,რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 871607 ლარი.

**კერძოდ, დაფინანსდა:**

- ქ.საგარეჯოში თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა, მოასფალტება და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები - 871607 ლარი, თანადაფინანსება 45874 ლარიდან ბიუჯეტში გათვალისწინებულია 27081 ლარი, დარჩენილი 18793 ლარის გადატანა მოხდა დასუფთავების ღონისძიებებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული აუთვისებელი თანხიდან.
- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა:

საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება -50 000 ლარი (საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია).

- სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის დასუფთავების ღონისძიებებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან სანიაღვრე არხების მოწყობის და აღდგენის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გადავიდა 50000 ლარი.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №21 განკარგულებით დამტკიცდა ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის ახალი საშტატო ნუსხა, ა(ა)იპ-ის სუბსიდიაზე თანხის - 14810 ლარის დამატება მოხდა დასუფთავების ღონისძიებებიდან საქონელი და მომსახურების მუხლში აუთვისებელი თანხიდან 10944 ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 3866 ლარი.

ა.ვ. მეექვსე ცვლილებით:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- სანიაღვრე არხების მოწყობის და აღდგენის ხარჯებში დაემატა 349 949 ლარი; კერძოდ დაფინანსდა სოფელ პატარა ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცის სამუშაოები - 87500 ლარი;
- სოფელ დიდ ჩაილურში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცის სამუშაოები - 131242 ლარი;
- სოფელ ყანდაურაში შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცის სამუშაოები 131207ლარი.
- თანადაფინანსება 49994 ლარი ბიუჯეტში გათვალისწინებულია ბიუჯეტის მე-5 ცვლილებით.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან სოფლის ამბულატორიების მომსახურების და ჯანდაცვის ხელშეწყობის ხარჯებს დაემატა 550 070 ლარი; კერძოდ დაფინანსდა
- ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები - 335221 ლარი;
- სოფელ გომბორში სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები -214849 ლარი;
- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით: სოფლებში თულარში, პატარძეულში, წყაროსთავში, ყანდაურაში და ნინოწმინდაში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელში ამქაჩი ტუმბოების ამოსაცვლელად ახლების შეძენის და მონტაჟის სამუშაოების დასაფინანსებლად სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების მუხლიდან 66114 ლარი გადავიდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა–შენახვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

ა.ზ. მეშვიდე ცვლილებით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი თანხიდან: სოფლის ამბულატორიების მომსახურება და ჯანდაცვის ხელშეწყობა ხარჯებში დაემატა 153415 ლარი. კერძოდ დაფინანსდა:

1) სოფელ გომბორის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 9760 ლარი;
2) სოფელ გიორგიწმინდის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 9751 ლარი;
3) სოფელ უდაბნოს ამბულატორიის რეაბილიტაცია - 5907 ლარი;
4) სოფელ თოხლიაურის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 14682 ლარი;
5) სოფელ მანავის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 9345 ლარი;
6) სოფელ პატარძეულის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 4244 ლარი;
7) სოფელ ხაშმის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 36822 ლარი;
8) სოფელ ყანდაურის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 9789 ლარი;
9) სოფელ დიდ ჩაილურის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 53115 ლარი;

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის №37 დადგენილებით დამტკიცებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის ათი ერთეულით გაზრდასთან დაკავშირებით მერიის მ/წლის შრომის ანაზღაურების ფონდი გაიზარდა 40000 ლარით. თანხის გადატანა მოხდა სკოლამდელი დაწესებულებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული აუთვისებელი თანხიდან.

ა.თ. მერვე ცვლილებით

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა:

- სოფელ დიდ ჩაილურში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის ამოცვლა -128 050 ლარი;
- სოფელ უდაბნოში არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია - 52 250 ლარი;

ა.ი. მეცხრე ცვლილებით

საქართველოს მთავრობის 2019წლის 21 აგვისტოს №1867 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №557 განკარგულებაში და სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 474 ლარით. ნაშთის გამოყენებით 50 ათასი ლარით გაიზარდა გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა:

საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება-50 000 ლარით (საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია).

ა.კ. მეათე ცვლილებით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხით:
- ქ.საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 6872 ლარით;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობის სამუშაოები - 32484 ლარით;
- სოფელ უდაბნოში არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია -499 ლარით.
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა - ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები - 6578 ლარით.
- ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 2018 წლის №115 ხელშეკრულებიდან მიღებული ეკონომია (ქ. საგარეჯოში კახეთის, დოდაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების ასფალტობეტონის გზის საფარისა და სანიაღვრე რ/კ ბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოებისა და ქ. საგარეჯოში მერაბ კოსტავას ქუჩაზე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლების ეზოებისა და სოფელ პატარძეულში გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები) 36231 ლარი გადანაწილდა სხვადასხვა აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად, კერძოდ, 30000 ლარი - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დასახმარებლად, 6231 ლარი - განათლების პროგრამაში ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სუბსიდიაზე ს.კოჭბაანის საბავშვო ბაღის შენობის გათბობისთვის შეშის შესაძენად (1560 ლარი) და თანამშრომელთა ხელფასების დასაფინანანსებლად (4671 ლარი).

პერიოდულად, საკრებულო ახორციელებდა ზედამხედველობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

5. მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში:

ა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვალს მიღებულია №2 დადგენილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“. აღნიშნული დადგენილებით დამტკიცდა ქ.საგარეჯოს ტერიტორიის ზონირება და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

ბ. მერის ინიციატივით დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები, საკრებულოს წევრები*** რეგულარულად ვაწყობდით შეხვედრებს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობასთან, სოფლებში არსებული პრობლემების შესასწავლად.

**შეხვედრების დროს გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:**

***1. სოფელ ანთოკისა და მარიამჯვრის პრობლემები:***

- მისასვლელი გზების ასფალტის საფარის მოწყობა.
- გაზიფიცირება

***2. სოფელ გიორგიწმინდის პრობლემები:***

- ე.წ „ნასადგომარის“ ჭაბურღილის ამოქმედება, სოფელში ამოყვანა და რეზერვუარის აღდგენა-მოწესრიგება.
- სოფლის ცენტრში ადმინისტრაციული შენობის რესტავრაცია და მიმდებარედ დასვენებისა და გასართობი სკვერის მოწყობა.
- სოფლის შიდა გზების მოწესრიგება.
- სოფლის ცენტრალური გზის ასფალტის საფარის მოწყობა.

***3. სოფელ ნინოწმინდის პრობლემები:***

- ნინოწმინდისა და წყაროსთავის სოფლების დამაკავშირებელი გზა - სანიაღვრე არხის მოწყობა, მოხრეშვა, მოასფალტება, გარე განათება.
- ბასეინებთან არსებული ოთახის გალესვა, გადახურვა, კარებისა და ფანჯრის შეცვლა.
- აჭარელების დასახლებაში მინისტადიონის მოწყობა.
- 21-ე ქუჩის მოხრეშვა, ნაწილზე სანიაღვრე არხის მოწყობა. (სიგრძე დაახლოებით 700მ)
- მე-13 ქუჩის მოხრეშვა, სანიაღვრე არხის მოწყობა.(სიგრძე დაახლოებით 230მ)
- მე-9 ქუჩის მოხრეშვა და სანიაღვრე არხის აღდგენა-გასუფთავება. (სიგრძე დაახლოებით 470მ).
- მე-14 მე-15 ქუჩების მოხრეშვა.
- მე-11 ქუჩის მოხრეშვა და სანიაღვრე არხის მოწყობა.
- 30-ე ქუჩის მოხრეშვა და გარე განათება (სიგრძე დაახლოებით 850მ, 27 სანათი 3 ბოძი).

***4. სოფელ წყაროსთავის პრობლემები:***

- ჭაბურღილის მოწყობა „ბებერ წყალზე“.
- ბეჟიტაანთ უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა. სოფლის ბოლოს გაბიონის მოწყობა. გარე განათება.
- წყაროსთავის საბავშვო ბაღში სამი ოთახის მიშენება. (პერსონალისთვის, სასადილო ოთახი და დარბაზი).

***5. სოფელ ვერხვიანის პრობლემები:***

- მლაშე წყლის სათავის მოწყობა.

***6. სოფელ მზისგულის პრობლემები:***

- სტადიონის შემოღობვა.
- ადმინისტრაციული შენობის გადახურვა, რეაბილიტაცია, შიგნითა ამბულატორია, ძიუდოს დარბაზი.
- ე.წ „რიტუალების“ დარბაზის რეაბილიტაცია.
- სოფლის სკვერის რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა.

***7. სოფელ ყანდაურის პრობლემები:***

- ზემო ყანდაურის გზის მოასფალტება - სანიაღვრე არხების მოწყობა 4.5კმ
- სოფლის სასმელი წყლით მომარაგება (ჭა-ბურღილის მოწყობა)
- სოფლის სარწყავი წყლით მომარაგება
- გარე განათების დასრულება
- საუბნო გზების მოწყობა

***8. სოფელ ბადიაურის პრობლემები:***

- სპორტული დარბაზის მშენებლობა
- საუბნო გზების მოწყობა
- სასაფლაო გზის მოასფალტება
- უბნებში გარე განათების დასრულება

***9. სოფელ სათაფლეს პრობლემები:***

- გაზის შეყვანა სოფელში
- სოფლის ცენტრალური გზის მოასფალტება.

***10. სოფელ თულარისა და კაზლარის პრობლემები:***

- ცენტრალური გზის მოასფალტება
- სასმელი წყლით უზრუნველყოფა
- სარწყავი არხების გასუფთავება
- ნაგვის ურნებით უზრუნველყოფა

***11. სოფელ კაკაბეთის პრობლემები:***

- სოფლის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა
- საუბნო გზების ბეტონის საფარველით მოწყობა

***12. სოფელ იორმუღანლოს პრობლემები:***

- საბავშვო ბაღი
- სასმელი წყალი
- შიდა გზების მოხრეშვა

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**21 ნოემბერი, 2019წ**



**გაგრძელება**

• უბნებზე გარე განათება

*13. სოფელ პატარძეულის პრობლემები:*

• მდინარე იორზე გადასასვლელი სამანქანე ხიდის მშენებლობა.

• სოფელში ე.წ „უსტიაანთ უბნის" მოასფალტების სამუშაოები.

• მინი სტადიონის მშენებლობა სოფლის კლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე.

• სანიაღვრე არხების მოწყობა, კერძოდ სასაფლაოზე მისასვლელ გზებზე და შიდა უბნებზე სადაც მოხრეშვის სამუშაოებს არა აქვს ეფექტური შედეგი.

• საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია.

• პალდოს ივრის წყლის გამოყენება სოფლის სასარგებლოდ.

*14. სოფელ დუზაგრამის პრობლემები:*

• ცენტრალური გზის დარჩენილი მონაკვეთის მოასფალტება (1500 მეტრი).

• შიდა გზების მოხრეშვა.

• სოფელ დუზაგრამაში სარწყავი არხის მოწყობა.

• ნაგავსაყრელის გაწმენდა და გატანა.

• ე.წ. „ბაზრის გზის" მოხრეშვა.

*15. სოფელ გომბორის პრობლემები:*

ახალი სასმელი წყლის გამოყვანა.

• საჭიდაო დარბაზის გაკეთება

• არსებული სასმელი წყლების სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია.

• სოფლებსა და გომბორის უბნებში გარე განათების დასრულება.

• სასაფლაოს შემოღობვის დასრულება.

• შიდა გზების მოხრეშვა.

• ბუნებრივი აირის სოფელში შემოყვანა.

• ინტერნეტის სოფელში შემოყვანა.

• სოფლის სტადიონის აღდგენა.

• სოფელ ვერონაში სარიტუალო დარბაზის აღდგენა და გარე განათების გაკეთება.

*16. სოფელ ხაშმის პრობლემები:*

• სოფლის ცენტრალური გზის მოასფალტება.

• სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები მდინარე ივრის ხეობიდან. (მიერთება გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ დაწყებულ პროექტთან, წყლის მარაგის კაპიტალური რეზერვუარის მშენებლობის ჩათვლით)

• შიდა საუბნო გზების კეთილმოწყობა.

• გარე განათების მოწყობა დარჩენილ უბნებში.

• სანაგვე ურნების დამატება.

• სოფლის სასაფლაოს გზების წესრიგში მოყვანა.(გრეიდერის სამუშაოები და მოხრეშვა).

• სასაფლაოს შემოღობვა.

• მინი სტადიონის მოწყობა.

• საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის სამუშაო ოთახის და სოფლის კლუბის რეაბილიტაცია-რემონტი.

*17. სოფელ კოჭბანის პრობლემები:*

• კოჭბაანის შიდა ცენტრალური საავტომობილო გზის მოასფალტება, სანიაღვრე არხებისა და ბოგირების მოწყობა.

• სპორტული სტადიონის მოწყობა.

• ძველი ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია (დემონტაჟი) და მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა აღჭურვა (სარიტუალო დარბაზის მოწყობა).

• კოჭბაან-გორანის ხევებზე საცალფეხო ხიდების მოწყობა.

*18. სოფელ შიბლიანის პრობლემები:*

• შიდა საუბნო გზების მოასფალტება.

• ჭაბურღილის გაკეთება (დაბურღვა).

• მინი სტადიონის გაკეთება.

*19. სოფელ მანავის პრობლემები:*

• ცენტრალურ უბანში მე-3 ქუჩის დაზიანებული ასფალტის საფარის განახლება ან ორმული შეკეთება (დაახლოებით 300მ) გარე განათების მოწყობით - 3-4 ლამპიონი.

• საბავშვო ბაღი 1-თან მისასვლელი გზის მოასფალტება (ან მოხრეშვა)

• მე-5 ქუჩაზე სანიაღვრე არხის, გარე განათების მოწყობა (5-6 ლამპიონი) ასფალტის საფარის დაგება (დაახლოებით 400მ)

• „ტურის უბანში" გზის კეთილმოწყობა.

• ქვ.უბნის ცენტრში სკვერის მოწყობა.

• სოფლის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია.

• ბურდიანში სასპორტო დარბაზის შეკეთება.

*20. სოფელ უჯარმის პრობლემები:*

• იალნოს მთის ძირას წყალშემკრები ნაგებობის გაკეთება და თვითდინებით სოფელ უჯარმის,სოფელ პალდოს და უჯარმის ციხისთვის მიწოდება.

აღნიშნული პრობლემები შემდგომში რეაგირებისთვის გადაგზავნილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში.

საჯარო ინფორმაციისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

• საკრებულოში შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ 9 მოთხოვნა. მათ შორის იუსტიციის სამინისტროდან -2 მომართვა, ჩთჩ ორგანიზაციიდან 1 განცხადება, სახელმწიფო რწმუნებულის აპარატიდან 1 მომართვა, ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტიდან I I 1 მომართვა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 1 მომართვა, სახალხო დამცველის აპარატი -1 მომართვა, ქ.თბილისის საკრებულო 1 მომართვა, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" -1 განცხადება.

• მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობაა 9. გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე - საკრებულოს აპარატის უფროსი ილია სიფროშვილი. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.

• არ მომხდარა საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა.

• საჯარო მოსამსახურეების მიერ არ განხორციელებულა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა და შესაბამისად პასუხისმგებელ პირს არ დაკისრებია დისციპლინური სახდელი.

• საჯარო ინფორმაციის თაობაზე უარის თქმის შესახებ გადაწვეტილება არ არის მიღებული, შესაბამისად საკრებულოს არა აქვს მსგავსი გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევა.

• საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში არ ყოფილა.

შევეცადე ჩემს ანგარიშში მოკლედ გადმომეცა მუნიციპალიტეტში საანგარიშო პერიოდში არსებული მდგომარეობა. მიმაჩნია რომ ბევრი რამე გაკეთდა თუმცა უფრო მეტია გასაკეთებელი და ძალისხმევას არ დავიშურებ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ,რაშიც მაქვს საკრებულოს და აღმასრულებელი ხელისუფლების იმედი.

მადლობა მინდა გადავუხადო საკრებულოს ყველა თანამშრომელს საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობისთვის.

და ბოლოს მადლობა ჩვენი მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს ატიუროზისთვის, ვისურვებდი უფრო მეტ ჩართულობას მათი მხრიდან.

***საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 10 თვის ანგარიშის მოსმენის შესახებ" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერგოწონაშვილმა (მოხსენებას გთავაზობთ სრულად)***

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში რიგით მეცხრე ანუ 2019 წლის 27 სექტემბრის 11 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 22 947 749 ლარით, ანუ დამტკიცებულ 12 200 600 ლართან შედარებით გაიზარდა 10 747 149 ლარით, ხოლო 2018 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 6 359 734 ლარით.

განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: წინა წლის ნაშთიდან დაემატა 3 257 999 ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაემატა 7 489 150 ლარი, მათ შორის: 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 1 320 300 ლარი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯებისთვის, ხოლო 3 432 760 ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებისთვის; სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 658 000 ლარი; საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით 1 025 122 ლარი; სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსებით გამოიყო 349 475 ლარი; ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით გამოიყო 703 485 ლარი.

მიმდინარე წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა შემოსულობებმა 13 852 095 ლარი წლიური ბიუჯეტის შემოსულობების 70 %, მათ შორის: ქონების გადასახადი შემოვიდა 1 759 151 ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებული ღირებულების გადასახადი 6 685 271 ლარი; გრანტების სახით მიღებულია 4 136 226 ლარი; სხვა შემოსავლების სახით შემოსულია 1 209 951 ლარი; არაფინანსური აქტივების კლებიდან 61 496 ლარი.

გადასახდელებმა 14 939 843 ლარი წლიური ბიუჯეტის გადსახდელების 65 %, მათ შორის: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯი შეადგენს 2 589 998 ლარს; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 88 592 ლარს; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 7 293 427 ლარს; დაფინანსებულია განათლება 2 960 956 ლარით; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 1 099 843 ლარით; მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 907 027 ლარით. სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილია 239 466 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები. – 2019 წელი

**რეგიონებში განსახორციელებელი ფონდი:**

ქ.საგარეჯო, მარჯანიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 263 340 ლარი

ქ.საგარეჯო თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია - 882 288 ლარი

ქ.საგარეჯოში, სათავის ქუჩის (ეკლესიასთან მისასვლელი გზის) რეაბილიტაცია - 304 793 ლარი

სოფ:კაკაბეთის სასმელი წყლის ქსელის მოწყობა- 1 199 999 ლარი

სოფ:ხაშმში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და სკოლისაკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობა - 748 448 ლარი

სოფ:მანავში ე.წ ტურის უბნის გზის რეაბილიტაცია - 632 260 ლარი

ქ.საგარეჯოში სარაჯიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია - 199 180 ლარი

ქ. საგარეჯოში, გ. ქურდიანის ქუჩაზე "ღვთისმშობლის" ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტება - 250 160 ლარი

ქ. საგარეჯოში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. (წიფლის ხევის) მიმდებარედ გზის მოასფალტება - 390 850 ლარი

სოფ. დიდ ჩაილურში დაზიანებული სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია - 134 790 ლარი

სოფ. უდაბნოში მდებარე საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 54 474 ლარი

**ადგილობრივი ბიუჯეტიდან**

საგარეჯოს მუნიციაპლიტეტის სოფელ უდაბნოში პრავდი გულბანის სტიქიით დაზიანებული სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა- 6 837,00

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ბადიაურში -რეზერვუარისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები - 63 935,00

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის რუსთაველისა და ერისთავის ქუჩების გადაკვეთაზე დაზიანებული ცხაურების შეცვლის სამუშაოების შესყიდვა - 3 932,94

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურაში რეზერვუარებისა და შიდა ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის და სოფელ ზემო ყანდაურაში რეზერვუარის მოწყობის სამუშაოები- 61 013,47ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო- სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა - 6 554,90

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოში ხუთ უბანში საუბნო ონკანების მოწყობის და სოფელ გიორგიწმინდაში რეზერვუარის რეაბილიტაციის სამუშაოები - 42 478,82

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მზისგულში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციის სამუშაოები - 42 953,18

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების შესყიდვა- 22 999,00

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანში წყლის რეზერვუარების სამშენებლო სარეაბილიტაციო და სოფელ უჯარმაში მოსახლეობისთვის სარწყავი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები - 52 321,20

ქ. საგარეჯოს №3, სოფელ პატარძეულის №1 და №2, სოფელ პატარა ჩაილურის და სოფელ ხაშმის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სარემონტო და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ელექტრონული ტენდერის აუქცონის გარეშე საშუალებით.46 019,63

ქ. საგარეჯოში გ.ლეონიძის ქუჩაზე მდებარე №6, სოფელ ნი ნოწმინდის, ქ. საგარეჯოში ერეკლე II-ს ქუჩაზე მდებარე №1, სოფელ წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო და ქ. საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დაზიაებული სახურავის ნაწილობრივი შეკეთების და სოფელ გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში წყალმომარაგების და კანალიზაციის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, ელექტრონული ტენდერის აუქცონის გარეშე საშუალებით. - 55 868,57

"შესყიდვის ობიექტია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში - ხაშმში, უდაბნოში, პატარძეულსა (ე.წ "აჭარლები"-ს დასახლება) და კოჭბანში მცხოვრები მოსახლეობისთვის 2019 წლის 20-21 თებერვალს მომხდარი ძლიერი ქარის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა.

კერძოდ: სოფელ უდაბნოში 1) ოლეგი ხაჭვანის, 2) ვიტალი ხაჭვანის, 3) ჯაჯა ჩართოლანის, 4) ქეთინო რატიანის, 5)ივანე ჯანიაშვილის, 6) მამუკა გუჯეჯიანის, 7) ვასო გულბანის, 8)მაია ალადაშვილის, 9) ემზარი მანძულაშვილის, 10) მანანა ხაჭვანის, 11) ედვარდ მარგიანის, 12) ნანული ნიგურიანის საცხოვრებელი სახლის სახურავები და 13) ვასიკო ხმალაძის სახლის აივანი."კერძოდ: დაზიანებულია ადგილობრივი მოსახეობის 1) ზურაბ მჭედლიშვილის, 2) კატო ჯიქიძის და 3) რიმა ხალხატიანის საცხოვრებელის სახლის სახურავები.

სოფელ კოჭბანში: 1) მანანა დიდებაშვილის და 2) მერი ფეტვიაშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავები.

სოფელ პატარძეულში ე.წ. აჭარლები-ს დასახლებაში ნუკრი არბაძის საცხოვრებელი სახლის სახურავი.44 785,84

შესყიდვის ობიექტია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წერეთლის ქუჩა №52-ში მცხოვრები ვლადიმერ ქვლივიძის საცხოვრებელი სახლის 2019 წლის 17 თებერვალს მომხდარი ძლიერი ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავის რეაბილ-

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*

# მუნიციპალური გვერდი

გაგრძელება

იტაციის სამუშაოების შესყიდვა.16 450,00

ქ. საგარეჯოში, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თემებსა და მასში შემავალ სოფლებში, კერძოდ: შიბლიანში, მზისგულში, ბადიაურში, ყანდაურაში, ვერხვიანში, კაკაბეთში, პ/ჩაილურში, დ/ჩაილურში, მანავში, თოხლიაურში, გიორგიწმინდაში, ნინოწმინდაში, წყაროსთავში, პატარძეულში და ხაშმში, დაზიანებული გზების მონაკვეთების აღდგენის - მოხრეშვა-მოშანდაკების მიზნით სპეციალური ტექნიკის დაქირავება.80 000,00

მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გათბობის სისტემა - 14 525,00

კოსტავას ქუჩაზე, საერთო საცხოვრებლის ეზოებში, საკანალიზაციო ჭებს გადახურვის ფილების და თუჯის ფილების შესყიდვა4 990,00

მარიამჯვარში სასმელი წყლის დაზიანებული მაგისტრალის აღსადგენად მილის შესყიდვა - 3 655,00

ქ. საგარეჯოში, 4 საბავშო ბაღში აღსაზრდელებისთვის დამატებით ერთი ოთახის მოწყობა.24 946,38

სოფ. მარიამჯვარში, გარე განათების მოწყობა.10 046,48

ქ. საგარეჯოში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული სანათების ამოცვლა „ 150 ჭ“-ით.14 532,69

ქ. საგარეჯოში, შ. რუსთაველის ქუჩაზე არსებული სანათების ამოცვლა „ 150 ჭ“-ით.5 993,69

ქ. საგარეჯოში, მარჯანიშვილის ქუჩაზე გარე განათაბების მოწყობა,3 898,69

სოფ. ვერხვიანში, გარე განათების მოწყობა.54 030,08

პ/ჩაილურში, სტადიონისთვის 4 ცალი განათების მოწყობა.3 369,70

სოფ. ყანდაურაში, გარე განათების მოწყობა.12 238,06

სოფ. პატარძეულში, ე.წ. „აჭარლების“ დასახლებაში გარე განათების მოწყობა.13 211,82

ქ. საგარეჯოში, წიფლის ხევის მიმდებარედ გარე განათების მოწყობა.21 120,21

სოფ. შიბლიანში, გარე განათების მოწყობა.7 818,58

სოფ. თულარი-ლამბალო-იორმუღანლო-დუზაგრამის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე გარე განათების მოწყობა.17 969,37

ქ. საგარეჯოს მერიის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და სახარავის მოწყობა.89 681,18

სოფ, პატარძეულში, ჩიხლაანთ უბანში გარე განათების მოწყობა,13 722,38

სოფ, პატარძეულში, შიოს უბანში გარე განათების მოწყობა,10 383,10

ქ. საგარეჯოში, ერისთავის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა3 115,17

სოფ. წყაროსთავში და სოფ. მზისგულში დაზიანებული ტუმბოების შეძენა მონტაჟი12 444,14

ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები38 899,88

ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები66 114,00

ქ. საგარეჯოსა და მისი სოფლებისთვის, სასმელი წყლის ამქაჩი ტუმბოების და მათი კომპლექტის (ახლით) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები - 35 891,09

სოფ. უჯარმაში დაზიანებული სასმელი წყლის 20მ-იანი ლითონის ემალირებული ავზის მოწყობა - 6 314,00

სოფ. უჯარმაში დაზიანებული სასმელი წყლის 16მ-იანი ლითონის ემალირებული ავზის მოწყობა - 9 057,00

სოფ. მზისგულში სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილის მოწყობა39 910,00

სოფ. პატარძეულში “ცხვარიაშვილების” უბანში სასმელი წყლის ჭაბურღილის დაზიანებული ტუმბოს შეცვლა - 7 000,00

ქ. საგარეჯოსა და მის სოფლებში დაზიანებული ასფალტო ბეტონის გზის ორმოულის შეკეთება - 237 181,40

სოფ. პატარა ჩაილურში ასმათ ათუაშვილის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის გადახურვითი სამუშაოები8 333,00

**სტიქიის პრევენცია**

სოფ.დიდ ჩილურში სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები- 145449.95

სოფ.პატარა ჩილურში სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები - შერჩევა-შეფასება მიმდინარეობს

სოფ.ყანდაურაში სანიაღვრე არხებისა და ლითონის ცხაურების მოწყობის სამუშაოები - შერჩევა-შეფასება მიმდინარეობს

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**21 ნოემბერი, 2019წ**



**სასწრაფოები**

ქ. საგარეჯოში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახური - 328 642,96 ლარი

სოფელ გომბორში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახური- 214 849,00 ლარი

**ამბულატორიები**

“გომბორის ამბულატორია” - 9 759 ლარი

გიორგიწმინდას საექიმო ამბულატორია - 9 750ლარი

უდაბნოს ამბულატორია - 5 005 ლარი

თოხლიაურის ამბულატორია - 14 681 ლარი

მანავის სოფლის ამბულატორია - 9344,76 ლარი

პატარძეულის საოჯახო მედიცინის ცენტრი -4 243

ხაშმის სოფლის ამბულატორია- 36 821 ლარი

ყანდაურის ამბულატორია - 8295,47 ლარი

სოფელ დიდი ჩაილურის საექიმო ამბულატორია -52611.82 ლარი

**სკოლები**

სსიპ ქალაქ საგარეჯოს 1 საჯარო სკოლა - 74 634 ლარი

აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდის საჯარო სკოლა- 44 167

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გომბორის საჯარო სკოლა - 57 547

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლა - 46953,63 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავის საჯარო სკოლა - 43 898 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდის საჯარო სკოლა - 65 496,73 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჩაილურის საჯარო სკოლა - 114 507 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უდაბნოს საჯარო სკოლა - 78 274,45 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყანდაურის საჯარო სკოლა - 71977,35 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის საჯარო სკოლა - 46922,14 ლარი

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის საჯარო სკოლა - 27 140

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჯარმის საჯარო სკოლა - 46978,51 ლარი

**სოფლის მხარდამჭერი პროგრამა:**

სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 651 676,00 ლარს

**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 10 თვის წლის ანგარიში**

**1.** 21 ხანდაზმულს 200 ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარება. დაკმაყოფილდა 21 განცხადება, გადაირიცხა 4200 ლარი.

**2.** დემოგრაფიული ხელშეწყობის მიზნით 15 სოციალურად დაუცველ ოჯახის გაეწია ერთჯერადი დახმარება I და II ახალშობილზე 300 ლარის ოდენობით, დაკმაყოფილდა 15 განცხადება, გადაირიცხა 4500 ლარი.

**3**. მრავალშვილიანი სოციალურად დაუცველ ოჯახის ერთჯერადად გაეწია დახმარება 400 ლარის ოდენობით, დაკმაყოფილდა 69 განცხადება, გადაირიცხა 27 600 ლარი.

**4.** მარტოხელა სოციალურად დაუცველი 13 მშობლის ერთჯერადად გაეწია დახმარება 200 ლარის ოდენობით, დაკმაყოფილდა 13 განცხადება, გადაირიცხა 2600 ლარი.

**5.** სტაციონალური, ამბულატორიულიმკურნალობისადაოპერაციებისდასაფინანსებლად დაკმაყოფილდა 302 განცხადება, გადაირიცხა 134 048.48 ლარი. აქედან გამონაკლისისი სახით დახმარება გაეწია 223 მოქალაქეს და გახარჯული თანხის ოდენობამ შედგინა 117812 ლარი.

**6.** სამედიცინო-დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერულიტომოგრაფიის, კორონაროგრაფიის და სხვა კვლევების დაფინანსება, დაკმაყოფილდა 195 განცხადება, გადაირიცხა 43 548 ლარი. აქედან გამონაკლისის სახით დახმარება გაეწია 50 მოქალაქეს და გახარჯული თანხის ოდენობამ შედგინა 15438 ლარი.

**7**. მედიკამენტების დასაფინანსებლად დაკმაყოფილდა 648 განცხადება, გაიცა -104030.60 ლარი.

**8.** დამხმარე საშუალებების დასაფინანსებლად დაკმაყოფილდა 6 განცხადება, გაიცა 1835.26 ლარი.

**9**. შეზღუდულიშესაძლებლობისმქონეპირთარეაბილიტაცია, დაუნისსინდრომისდააუტისტურისპექტრისაშლილობისმქონე 18 წლამდეასაკისბავშვთარეაბილიტაციადა სოციალურადდაუველოჯახისბავშვთასამკურნალორეაბილიტაცია დაფინანსდა 8395 ლარით-დაკმაყოფილდა 26 განცხადება.

**10.** ქიმიოთერაპია დაფინანსდა 296,01 ლარით- დაკმაყოფილდა 57 განცხადება.

**11.** კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ და სოც. დაუცველ ბავშვთა სპეც. კვება დაფინანსდა -758 ლარით -დაკმაყოფილდა 6 განცხადება.

**12.**იშვიათი დაავადების მქონე პირთა სპეც. საკვები დანამატებით დახმარება გაეწია 2 პირს გაიცა 560 ლარი.

**13.** შაქრის საზომი ჩხირებით დაფინანსდა 5 ბავშვი დაფინანსდა 384 ლარი -5 განცხადება.

**14.** დიალიზის ტრანსპორტირების ხარჯი გაეწია 22 პირს ,დაფინანსდა 20100ლარი

**15**. შშმ ბავშვების გაეწიათ ფულადი დახმარება-14650 ლარი.

**16**. ეტლი გადაეცა 12 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს.

**17.** 2019 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ტრადიციულად, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს-9 მაისს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის გაიმართა კულტურული ღონისძიება, მემორიალი შეიმკო გვირგვინებით და ყვავილებით. შემდეგ შედგა საზეიმო სადილი და გადაეცათ ფულადი ჯილდო (თითოეულს 200 ლარი 3 ვეტერანი).

**18**. 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს გადაეცა ფულადი დახმარება (თითოეულს 500 ლარი 2 ოჯახი) და მოეწყო მემორიალის და საფლავების გვირგვინებით შემკობა.

ოქტომბერს ვეტარანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო მემორიალის გვირგვინებით შემკობა.

აფხაზეთის და აგვისტოს ომის 9 მონაწილეს გაეწია დახმარება ომის ვეტრანის სტატუსის მიღებასთან დაკვაშირებით.

**19.** ვეტერანის დაკრძალვის ხარჯი გაეწია 3 ოჯახს, თვითოეულზე 300 ლარის ოდენობით . სულ გიცა 900 ლარი.

**20.** ბინის ქირავნობის ხელშეკრულება გაუფორმდა 21 ოჯახს, რომლებიც დაზარალებულები არიან 2010 წლის სტიქიის შედეგად. ყოველი თვის დასაწყისში ხდება ბინის ქირის დარიცხვა, მიმდინარე წლის ათ თვეში ჩაირიცხა 19580.22 ლარი, თვითოეულ ოჯახზე 105.27 ლარი.

**21**. უდედმამო ბავშვებს გაეწიათ დახმარება თვეში 100 ლარის ოდენობით, მიმდინარე პეროდში ჩაირიცხა 3800 ლარი.

**22**. საცხოვრებელი ფართის მოთხოვნით დაკმაყოფილდა 18 მოქალაქე, 15 მოქალაქეს გაუგრძელდათ ხელშეკრულება ფართის მფლობელობის შესახებ.

**23.**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებამ შეადგინა 10320 ლარი. პროგრამით სარგებლობს 170 მოქალაქე.

**24**.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულებამ შედგინა 6060 ლარი. პროგრამით სარგებლობს 89 მოქალაქე.

**25.** „სათნოების სახლი“ უფასოს სასადილოს გახარჯულმა თანხამ შეადგინა 152 473 ლარი.

**იურიდიული სამსახურის ანგარიში**

დოკუმენტში მოცემულია დეტალური ინფორმაცია პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურისმიერ 2019 წლის 10 თვის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში შემოსულია 665 კორესპონდენცია, რომელსაც მოყვა სათანადო რეაგირება.

არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების რაოდენობამ შეადგინა 04 (ოთხი) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, სამი დაკმაყოფილდა, ერთი განხილვის სტადიაზეა.

2019 წელს სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 11, რომელთაგან დღეის მდგომარეობით მიმდინარეა 09 საქმე (შვიდი პირველ ინსტანციაში, ერთიგასაჩივრებულიასააპელაციო სასამართლოში, ერთი - უზენაეს სასამართლოში), 02საქმეზე მიღებულია გადაწყვეტილება და დამთავრებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ.

2019 წლის განმავლობაში იურიდიულ სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 28 განცხადება, რომელთაგან 27 დაკმაყოფილდა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ განხილულია 35 მოქალაქის განცხადება, 31 პირზე გაცემულ იქნა სათანადო ცნობა, ხოლო 4 პირს უარი ეთქვა ფაქტის დადგენაზე.

საორგანიზაციო სამართლებრივი აქტების რაოდენობამ საანგარიშგებო წლის განმავლობაში შეადგინა 371 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი;

პირადი (პერსონალური) სამართლებრივი აქტების რაოდენობამ შეადგინა 90 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის 20/03/2019 131 ბრძანებით გამოცხადდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსი ვაკანტურ 7 ვაკანტურ თანამდებობაზე (შვიდი საშტატო ერთეული). აქედან 1 იყო დახურული კონკურსი. კონკურსის წესით შეივსო 7 საშტატო ერთეული.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის

*გაგრძელება მე-6 გვერდზე*

ტურეჯის მაცნე

№22(204) 2019 წელი, 16-30 ნოემბერი

# მუნიციპალური გვერდი

**გაგრძელება**

19/06/2019 №298 ბრძანებით გამოცხადდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსი 3 ვაკანტურ თანამდებობაზე (სამი საშტატო ერთეული), აქედან 1 იყო დახურული კონკურსი. კონკურსის წესით შეივსო სამი საშტატო ერთეული.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის 12/07/2019 №357 ბრძანებით გამოცხადდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსი 6 ვაკანტურ თანამდებობაზე (10 საშტატო ერთეული), აქედან 1 იყო დახურული კონკურსი. კონკურსის წესით შეივსო 9 საშტატო ერთეული.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის 30/08/2019 № 429 ბრძანებით გამოცხადდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კონკურსი 6 ვაკანტურ თანამდებობაზე (6 საშტატო ერთეული), აქედან კონკურსის წესით შეივსო 6 საშტატო ერთეული.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ შენობებში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათთვის სოციალური საცხოვრისის გადაცემის და შემდგომი მონიტორინგის განხორციელების სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის შედეგად უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულება გაუფორმდა და გაუგრძელდა ჯამში 17 ბენეფიციარს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ის შესაბამისად, საკრებულოს იურიდიული სამსახურის მიერ წარედგინა სულ 6 მიმართვა სამართლებრივი აქტების პროექტთან ერთად მათი შემდგომი მიღების მიზნით.

საანგარიშო წლის განმავლობაში იურიდიული სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ იქნა: მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობის პირების, თანამშრომლების იურიდიულ კონსულტირება, სამართლებრივი დასკვნების მომზადება; იურიდიული სამსახური წარმოადგენდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიას, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სასამართლოსთან ურთიერთობაში. ახორციელებდა დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**ზედამხედველობის განყოფილების 2019 წლის ანგარიში**

საგარეჯოს ზედამხედველობის განყოფილების მიერ 2019 წლის განმავლობაში რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტებზე კონტროლი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორცილედა სოფლებში გარე განათების მოწყობა, სანიაღვრე არხების და სკვერების მოწყობა. ქ. საგარეჯოსა და რამდენიმე სოფელში არსებულ საჯარო სკოლებში მოხდა სველი წერტილების მოწყობა, ასევე სოფლებში აშენდა ამბულატორიები და არსებულ შენობებს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები.

ქ. საგარეჯოში მოასფალტდა ეკლესიებთან - „პეტრე პავლესთან" და „წმინდა გიორგისთან" მისასვლელი გზა, ასევე არაყიშვილის, გურამიშვილის, თამარ მეფის, კოსტავას და სოფლების ქუჩები.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ.საგარეჯოში არსებულ სტადიონს, ასევე სოფელ უდაბნოში მიმდინარეობს კანალიზაციის მოწყობითი სამუშაოები, სოფლებში მოეწყო მოსაცდელები, სასმელი წყლის ჭაბურღილები, სანიაღვრე არხები, სოფლებში მოეწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობები, ყოველივე ზემოთ ჩამონათვალს მუდმივ ზედამხედველობას და კონტროლს უწევს ზედამხედველობის განყოფილება.

2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ზედამხედველობის განყოფილების მიერ ექსპლუატაციაში მიღებული იქნა მშენებლობადამთავრებული 22 ობიექტი, ექვსი მშენებლობა დამთვრებულ ობიექტს უარი ეთქვა ექსპლუატაცია შიმიღებაზე პროექტთან შეუსაბამობის გამო.

ზედამხედველობის განყოფილებაში 2019 წლიდან დღემდე შემოსულია 603 კორესპონდენცია, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება.

2019 წლის იანვრის თვეში მოხდა ხელშეკრულებების გაფორმება ქ. საგარეჯოში და მის მიმდებარედ სოფლებში არსებულ

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

## 21 ნოემბერი, 2019წ

სავაჭრო ობიექტებსა და საწარმო დაწესებულებებზე დასუფთავების მოსაკრებლის გადასახადთანდაკავშირებით. მიმდინარეწლის ოქტომბრის მდგომარეობით, მოსაკრებლისგადასახადიდანბიუჯეტშიშეტანილითანხაშეადგენს 30 402 ლარს.

ზედამხედველობისგანყოფილებისსპეციალიტებისმიერშედგენილი იქნაადმინისტარაციულსამართალდარღვევის სამი ოქმი, ასევე შედგენილ იქნა 28 მითითება უნებართვო მშენებლობაზე, ჯარიმის თანხამ ჯამში შეადგინა 7800 ლარი.

**ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში**

ახალგაზრდული კუთხით განხორციელებული ღონისძიებები:

პროგრამის ბიუჯეტი: 29900

ტრანსპორტით მომსახურება: 6000

1 თებერვალს დაჯილდოვდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 2016-2017 სასწავლო წლის ოქროს და ვერცხლის მედალოსნები (23 მედალოსანი მოსწავლე - 15 ოქრო, 8 ვერცხლი), მათ გადაეცათ ფულადი ჯილდო 200 ლარის ოდენობით.

21 მარტს, დაუნის სინდრომით დაავადებულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ჭრელი წინდების აქცია. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაუნის სინდრომის მქონე 5 ადამიანს გადაეცა საჩუქრად ტკბილეულის კალათები.

9 აპრილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, სოფელ პატარძეულის საჯარო სკოლის ნორჩ ისტორიკოსთა კლუბის აქტიური წევრები იმყოფებოდნენ საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმში.



23 აპრილს სპორტის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური შეუერთდა წიგნის ჩუქების დღეს, წიგნები გადაეცა 5 წარჩინებულ მოსწავლეს.

3 მაისს, სოფელ შიბლიანში ჩატარდა დასუფთავების აქცია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ომის ვეტერანთა შვილების - ორი ახალგაზრდის მონაწილეობა ახალგაზრდულ ბანაკში, უკრაინის ქ. ხერსონში. (ნინო ადუაშვილი, იოსებ ოკინაშვილი)

25 მაისს, სოფელ პატარძეულში, გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმში ჩატარდა სახალხო დღესასწაული „გოგლაობა".

დაფინანსდა სოფელ ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ექსკურსიის ტრანსპორტირება.

ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პროექტში „ახალგაზრდა ხელოვანი".

„რეზოობის" დღესასწაულთან დაკავშირებით, გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „მირანდუხტი".

17 ივნისს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვები, ახალგაზრდები და მათი მშობლები (35 ადამიანი) იმყოფებოდნენ ექსკურსიაზე საგურამოში, მცხეთასა და ანანურში.

მიმდინარე წლის 28 ივნისს, ჩატარდა ახალგაზრდული ბანაკი (1 დღიანი შეკრება) გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში.

ანსამბლებმა „პატარა გარეჯელები" და „ბერიკაცები" მონაწილეობა მიიღეს ფესტივალზე „არტ-გენი", ქ. თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ა. (ა). ი. პ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ლიდერი ბავშვები და პასუხისმგებელი პირები იმყოფებოდნენ ლაგოდეხში რეგიონული დამეგობრების ფესტივალზე.

დაიგეგმა და გატენდერდა ღონისძიება „ეფექტური საჯარო გამოსვლები", რომელიც ჩატარდა 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, ბაკურიანში.

დაფინანსდა ინტელექტ-ჩემპიონატი ეტალონი.

5 ოქტომბერს აღინიშნა მასწავლებლის საერთაშორისო დღე.

13 ოქტომბერს ჩატარდა ლაშქრობა.

ახალგაზრდულის ბიუჯეტიდან გაიხარჯა - 17627.34 (ჩვიდმეტი ათას ექვსასოცდაშვიდი და ოცდათოთხმეტი) ლარი.

ტრანსპორტში გაიხარჯა - 5571 (ხუთი ათას ხუთას სამოცდათერთმეტი) ლარი.

**განათლების კუთხით**

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არის 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების 2 ალტერნატიული ჯგუფი 80 ბავშვით (კვების გარეშე). მათ საქმიანობას ხელმძღვანელობს ა.ი.პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (დირექტორი: ელზა გილაშვილი), სადაც სულ 9 თანამშრომელია. მუნიციპალიტეტის სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა საერთო რაოდენობაა 1335, აღმზრდელთა რაოდენობა -65, აღმზრდელთა თანაშემწის (ძიძის)- 65.

„მთის ფონდის" დაფინანსებით, სოფელ კოჭბანში აშენდა და 1 ოქტომბრიდან გაიხსნა ახალი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი. სკოლამდელი აღზრდის პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 206887,76 ლარია.

ეთნიკური უმცირესობებისათვის ფუნქციონირებს სოფ. დუზაგრამის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და ლამბალოს 2 სკოლამდელი აღზრდის ალტერნატიული ჯგუფი. ალტერნატიულ ჯგუფებში აღსაზრდელები 4 საათის განმავლობაში მეცადინეობენ და კვება არ ფინანსდება(აღნიშნულ დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე).

სოფ. დუზაგრამაში ფუნქციონირებს ქართული ენის ცენტრი (ადმინისტრატორი: ხეიალ გასანოვი), რომელიც ეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფო ენის შესწავლაში. 2019წ. იანვრიდან 55 მსმენელი ესწრებოდა მეცადინეობას (25 ქალი და 30 კაცი).

აქტიურად ვთანამშრომლობთ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს–ცენტრთან (უფროსი: მანანა ცუცქირიძე). მუნიციპალიტეტში 26 საჯარო სკოლაა. მათ შორის, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებში 4 საჯარო სკოლაა.მოსწავლეთა საერთო რაოდენობაა 7798, პედაგოგთა რაოდენობა კი 762-ია. საჯარო სკოლებსვეხმარებით სხვადასხვა საკითხებში (ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება, მოსწავლეთა ექსკურსიების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ);

სკოლის მოსწავლეებისათვის დაფინანსებით უზრუნველვყოფთ საქართველოს ეროვნულ ინტელექტ–ჩემპიონატში „ეტალონი" მონაწილეობას (2960 ლარით) და კონკურსში გამარჯვებული მოსწავლისათვის სტიპენდიის გადაცემას ერთი წლის განმავლობაში (სტიპენდია გაიცემა ყოველთვე 100 ლ., სულ 1200 ლ).

**სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა**

1.ძიუდოისტების საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობისათვის დაიხარჯა: 8 856 ლარი.

2. სამბისტების საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობისათვის დაიხარჯა: 2 424 ლარი.

3.მკლავჭიდელთა საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობისათვის დაიხარჯა: 2 000 ლარი.

4.ქართული ჭიდაობის განვითარებისათვის დაიხარჯა : 5 000 ლარი. აქედან 4 000 ლარი ჩაირიცხა კახეთის ქართული ჭიდაობის განვითარების ფონდში, 1 000 ლარი დაიხარჯა ქართული ჭიდაობის ტურნირებზე გამარჯვებული საგარეჯოელი ფალავნების დასაჯილდოებლად.

5.სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ჩატარების ხელშესაწყობად დაიხარჯა: 1 708 ლარი.

6.მუნიციპალური ტურნირი მინი ფეხბურთში: დაიხარჯა 1 500 ლარი.

7.სპორტსმენების ტრანსპორტირებისათვის, საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაიხარჯა: 9 330 ლარი.

8.სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე სატელევიზიო კოშკურის მოსაწყობად) დაიხარჯა: 3 100 ლარი.

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2019 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით

ქონების მართვის განყოფილებაში 2019 წლის 01 იანვრიდან 25ოქტომბრის ჩათვლით შემოსულია სულ 366 წერილი. მათ შორის არის წერილები სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, შემოსავლების სამსახურიდან, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან, მოქალაქეთა განცხადებები და სხვა.

ამასთან დაკავშირებით ქონების მართვის განყოფილებაში მომზადდა წინადადებები, დასკვნები და რეკომენდაციები მუნიციპალური ქონებით სარგებლობისა და განკარგვის საკითხებზე (მიმართვები სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, იუსტიციის სამინისტროსთან, სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციასთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან). მომზადდა დოკუმენტაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილების მიერ გამოიცა 21 (ოცდაერთი) ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი (ბრძანება ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ, ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ), ჩატარდა 6 (ექვსი) ელექტრონული (პირობებიანი და უპირობო, მათ შორის ერთ აუქციონზე არ მოხდა აუქციონის ფორმით გატანილი ქონების განკარგვა) აუქციონი, იჯარით გაიცა და გასხვისდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება. გაფორმდა 6 (ექვსი) ხელშეკრულება (უზუფრუქტი, თხოვება). საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის ქონება. მოხდა ქონების აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შექმნა.

ქონების მართვის განყოფილებამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართა (11 მიმართვა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და გეგმის დამტკიცების შესახებ. მიმართა სახელმწიფო ორგანოებისათვის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისათვის, მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებისათვის და სხვა ა.(ა)ი.პ-სათვის, შპს-ებისათვის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით და სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ (უსასყიდლო უზუფრუქტი, თხოვების ფორმა).

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტის წარმომადგენელის მიერ ინდივიდუალური

დასასრული მე-7 გვერდზე

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

**21 ნოემბერი, 2019წ**



**დასასრული**

ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დადგინდა უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე არსებული მიწის ნაკვეთის იდენტურობა. გაიცა ინფორმაცია ჩვენს უწყებაში დაცული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე გადასახადის გადამხდელად და აღრიცხვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით სულ შემოსული იყო 2205 განცხადება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი მერის ხელმოწერით 2018 წლის აპრილში შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და გამოთქვა მზადყოფნა მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ჩამოაყალიბოს პარტნიორული ურთიერთობები, ხელი შეუწყოს მდგრადი და ინკლუზიური ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ეს არის კერძო და საჯარო სექტორთან მჭიდრო დიალოგით შექმნილი გეგმა, რომელიც ფოკუსირებულია კერძო სექტორის განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდა, განვითარება და დასაქმება.

დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“. აღნიშნული ორწლიანი ეკონომიკური გეგმა შეიქმნა ეკონომიკური სამსახურის აქტიური ჩართულობით.

ვმუშაობთ მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის საკითხებზე. შევისწავლეთ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი, ადგილზე შევამოწმეთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტები და შევქმენით ერთიანი ბაზა. აქტიურად ვახორციელებთ, ტურიზმის საკითხებზე ოფიციალურად შემოსულ წერილებზე შესაბამისი პასუხის მომზადებას. გავიარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგ-კურსები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია თანამშრომლობის გაფართოება საერთაშორისო სივრცეში. შესაბამისად, ვაწარმოებდით მოლაპარაკებას საზღვარგარეთის მუნიციპალიტეტებთან, შედეგად პოლონეთის ქალაქ ტარნობზრეგისაგან მივიღეთ თანამშრომლობის შესახებ თანხმობა. უახლოეს მომავალში მოხდება ოფიციალური დელეგაციების გაცვლითი ვიზიტი და საფუძველი ჩაეყრება თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში : კულტურა, გარემოს დაცვა, ახალგაზრდების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ა.შ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილების „მაღალმთიანდასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, ვმუშაობთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისადააღდგენისსაკითხებზე. რაც, ხელსუწყობს, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. ამასთანავე, მოქალაქის განცხადების საფუძველზე გავცემთ ცნობებს სტატუსის შესახებ დანიშნულების ადგილზე წარსადგენად. ამასთანავე, პერიოდულად ვატარებთ მონიტორინგს მაღალმთიან დასახლებებში.

აქტიურად ვართ ჩართულნი “საგარეჯოს-მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის” საქმიანობაში. კერძოდ, ვახორციელებთ კომისიის მიერდადებითადდაკმაყოფილებულგანცხადებებზესაკუთრებისუფლების გაცემას.

**შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წლის 10 თვის მუშაობის ანგარიში**

შიდა აუდიტის სამსახურმა 2019 წლის განმავლობაში

შიდა აუდიტორული საქმიანობის კუთხით განახორციელა ხუთი გეგმიური შემოწმება. მათგან სამი დასრულებულია, ანგარიშები გაგზავნილია მერთან და შემოწმებულ ობიექტებთან, ორი შემოწმება ამჟამად მიმდინარეობს.

ინსპექტირების კუთხით განხორციელებულია სამი დისციპლინური საქმის წარმოება და გასვლითი შემოწმებები ინსპექტირების განხორციელების მიზნით : ა.(ა).ი.პ. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში ( ბაღებში), ა.(ა).ი.პ. საგარეჯოს სპორტული გაერთიანების სპორტულ სექციებში და ადმინისტრაციულ ერთეულების წარმომადგენლობებში.

შემოწმებული ობიექტები:

ა(ა)იპსაგარეჯოს სპორტული გაერთიანება

აუდიტორული შემოწმების სახეები: ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი;

აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო: დაწესებულების მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა ეფექტიანობის და კანონმდებლობასა და დაწესებულების მიზნებთან შესაბამისობის კუთხით, თანხების ხარჯვის კანონიერება.

გაცემული რეკომენდაცია- 13 ( ცამეტი),

შესრულებული რეკომენდაცია-3 (სამი),

შეუსრულებელი რეკომენდაცია- 5 (ხუთი),

დაწყებულია (იგეგმება) რეკომენდაციის შესრულება -2 (ორი),

ნაწილობრივ შესრულებულია - 3 (სამი).

ა(ა)იპსაგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება

აუდიტორული შემოწმების სახეები: ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი;

აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო: დაწესებულების მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა კანონმდებლობასა და დაწესებულების მიზნებთან შესაბამისობის კუთხით, თანხების ხარჯვის კანონიერება.

გაცემული რეკომენდაცია-7 ( შვიდი).

შესრულებული რეკომენდაცია-ჯერ არ განხორციელებულა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, თუმცა შემოწმების მიმდინარეობის დროს, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად დაიწყო ერთი რეკომენდაციის შესრულება-ბაწიგნადი ფონდის (რომელიც იმყოფება მუნიციპალიტეტის ბალანსზე) ინვენტარიზაციის შესახებ,

შ.პ.ს „საგარეჯო“

აუდიტორული შემოწმების სახეები: ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი;

აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო: დაწესებულების მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა ეფექტიანობის და კანონმდებლობასა და დაწესებულების მიზნებთან შესაბამისობის კუთხით, თანხების ხარჯვის კანონიერება.

გაცემული რეკომენდაცია- 3 (სამი).

შესრულებული რეკომენდაცია-ჯერ არ განხორციელებულა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

მიმდინარე შემოწმებები:

ა(ა)იპ „საგარეჯოს №105 კომპლექსური სასპორტო სკოლა”

აუდიტორული შემოწმების სახეები: ფინანსური, შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტი;

აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო: დაწესებულების მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა ეფექტიანობის და კანონმდებლობასა და დაწესებულების მიზნებთან შესაბამისობის კუთხით, თანხების ხარჯვის კანონიერება.

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილება

აუდიტორული შემოწმების სახეები: შესაბამისობის აუდიტი;

აუდიტორული შემოწმების მიზნები და მოქმედების სფერო: სამსახურის (განყოფილების) მიერ გაწეული მუშაობის შესწავლა კანონმდებლობასა და სამსახურის (განყოფილების) მიზნებთან შესაბამისობის კუთხით.

ინსპექტირების ნაწილში:

სამი დისციპლინური საქმის წარმოების შედეგად სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისთვის სამ საჯარო მოხელეს შეეფარდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა-საყვედური, ორ საჯარო მოხელეს-გაფრთხილება, ერთი საჯარო მოხელე გათავისუფლდა სამსახურიდან.

მათგან:

დასკვნას კომპანია „ნიუ ბილდ გრუპის”-თვის არასწორად დაკისრებული პირგასამტეხლოს შესახებ მოყვა სამი საჯარო მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის-საყვედურის შეფარდება, ერთი საჯარო მოხელე გათავისუფლდა სამსახურიდან.

დასკვნას ელექტრონული ტენდერის საგარანტიო ვადის გასვლამდე გამოცხადების შესახებ მოყვა ერთი საჯარო მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის-გაფრთხილების შეფარდება.

დასკვნას მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა კანონით განსაზღვრული მაქსიმალური ზღვრული რაოდენობის გადამეტების ფაქტზე მოჰყვა ერთი საჯარო მოხელისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის-გაფრთხილების შეფარდება.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ირგვლივ საკუთარი აზრი გამოთქვეს და დასვეს კითხვები დეპუტატებმა. როგორც ნინოწმინდის დეპუტატმა ელენე სამხთუაშვილმა აღნიშნა, ნინოწმინდის საექიმო ამბულატორიას არ აქვს სასმელი წყალი. აღნიშნული საკითხის მოგვარება სხდომაზევე მუნიციპალიტეტის მერმა მერიის შესაბამის სამსახურის თანამშრომლებს დაავალა. თოხლიაურის დეპუტატის გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში მშობლებს ყოველ თვე მიაქვთ საპონი და ტუალეტის ქაღალდი, იმ დროს, როცა საბავშვო ბაღები უფასოა. აღნიშნულ საკითხზე პასუხი გასცა აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორმა ელზა გილაშვილმა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტყურიზმის, ახალგაზრდული სამსახურის უფროსმა არჩილ ჯაბადარმა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერს,მან,როგორც აღნიშნა, ამ საკიითხის შესახებ პირველად გაიგო და აღნიშნა, რომ მომავალი, 2020 წლიდან აღნიშნული საკითხი მოგვარებული იქნება, მერია გამონახავს საჭირო თანხას,რათა ჩვენი 1400 აღსაზრდელისათვის საბავშვო ბაღი უფასო იყოს.

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპსპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის,საგარეჯოს დეპუტატის თამაზ ურდულაშვილის თქმით, მოსახლეობასთან შეხვედრებისას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მათ ამომრჩეველს მთელ რიგ პრობლემებს მოუგვარებდა. კონკრეტულად, მოსახლეობა ითხოვს „ლიბერთი ბანკის“ მახლობლად და ე.წ. მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც ხდება სოფლებიდან ჩამოსული მოქალაქეების თავმოყრა, გახსნან საზოგადოებრივი სარგებლობის ტუალეტი, მაგრამ დღემდე ეს საკითხი ვერ მოგვარდა. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს №4 საბავშვო ბაღს, რომელიც ე.წ. „სადგურის დასახლებაშია, გაუკეთდა მიშენება – გაფართოვდა სამზარეულო, რადგან აქ უკვე 2 ჯგუფი ფუნქციონირებს 40 აღსაზრდელით, მაგრამ მიშენებული ოთახის მშენებლობა არ არის დასრულებული. აუცილებელი ხდება სამშენებლო ორგანიზაციას შეუწყდეს ხელშეკრულება და დაეკისროს ჯარიმა, რაზედაც მუნიციპალიტეტის მერმა თანხმობა განაცხდა. როგორც იმავე კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საბავშვო ბაღში მოძველებულია ავეჯი,რაც ახლით შეცვლას საჭიროებს.

გამოთქმულ;ი მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების მოსმენის შემდეგ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა თქვა: – მე თქვენს მიერ გამოთქმულ ყველა შენიშვნას ვიღებ... მომავალი წლიდან თითოეულ თქვენგანს, თითოეულ ჩემს თანამემამულეს ვთავაზობ ერთად, სერიოზულად მოვეკიდოთ ჩვენზე მონდობილ საქმეს, ერთად ვაკეთოთ საკეთებელი, შევხვდეთ, სისტემატიური შეხვედრები მოვაწყოთ ჩვენს ამომრჩეველთან, მოვისმინოთ მათი ტკივილი, მათი მოსაზრებები, პრობლემები, დავსახოთ გზები ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ერთსულოვნებით, ერთად დგომით ჩვენ ყველანაირ სირთულეს დავძლევთ. მომავალ წელს მოსახლეობას უნდა მოვუხსნათ სასმელი წყლის პრობლემა. ჩვენ სოფელ კაკაბეთში ძალზე მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ, რომელიც სულ მოკლე დროში გვიჩვენებს თავის შედეგს.

სხდომაზე წლიური ანგარიში წარმოადგინეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლელა მარიდაშვილმა,** საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზურაბ უსტიაშვილმა,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ელენე სამხთუაშვილმა,** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ბიჯი ბედიაშვილმა,** საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **თამაზ ურდულაშვილმა,** საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ივანე ივანიშვილმა.**

## ჭადრაკის მოყვარულთათვის

**7-8 დეკემბერს** საგარეჯოში ტარდება გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თასის გათამაშება ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ მსურველს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქციას,ან ტურნირის მთავარ მსაჯს, საგარეჯოს საჭადრაკო კლუბ „გარეჯის“ ხელმძღვანელს ირაკლი ქვლივიძეს (ტ: 595 42 94 80).

## ახალი ლექსი

# შარა ვუმშვენოთ სამშობლოს დაუშრეტელი მშვენებით



**რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღნიშვნისას ყმაწვილკაცობას მოვიფიქრე რუსთაველისთვის მიმეძღვნა 800-სტრიქონიანი ლექსი, რომელიც შევასრულე ხნოვანებაში, გაზეთებში გამოქვეყნებითაც და წიგნის სახითაც, სათაურით "ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი" (წიგნი იყიდება "ბიბლუსის" მაღაზიებში). წიგნის შეფასებებმა რადგან მოლოდინს გადააჭარბა, გავთამამდი და გთავაზობთ პოემის დასასრულსაც.**



ჩემი ჭაღარა ამ თმითა, ჭარბად ჭირისა დათმითა,
აწ ვაშადა ვწერ დასასრულს სულ საქადნელი
საქმითა,
რუსთაველისთვის საჩუქარს მისგვარი მსგავსი რითმითა,
რა სტრიქონებსაც ვქარგავდი კალმით კი არა წალმითა.

რთველში ვიყავით ყვარელში, შარა ვიარეთ მორთული,
ვენახს ბუნება შვენოდა, ღვინოს კი სუფრა ქართული,
ახალგაზრდობა მზეობდა ზვიად აზრებში გართული,
აჯა მაჯასა ამკობდა ორთავე მარჯვედ ჩართული.

იქ გავიხსენეთ ილია და მასთან ერთად რუსთველი
და მოვიგონეთ ტანჯულნი, მოკეთე ბევრი ქართველი,
ვაზის ძირებში დავასკვნეთ ჩვენი სამშობლოს საშველი,
ფუნდამენტია წინსვლისა რეფორმატორი მმართველი.

ბრძენი, თვალმარდი, გულადი, ვითა ერეკლე მხცოვანი,
შეუპოვარი ერის ძე, გმირი და დიდსულოვანი,
რომ ჩაამიწოს მიწაში ღალატი ათასწლოვანი
და განადიდოს სამშობლო სახელით სახელოვანი.

ვერ მოგვაშორებს ტანჯვასა ქმედება უქმი, ჭიანი,
და ვერცა ხვეწნა-მუდარა, თუნდაც კი ენაწყლიანი.
ამ მეტად მძიმე საქმისთვის გონება გვმართებს მთლიანი,
და საქართველოც იქცევა სამარადისოდ სვიანი.

ნებით, მიდგომით, შენდობით, ბაღ-ვენახების შენებით,
ქართველობისა მშვენობით და ბოძებული გენებით,
მამულს ბაღნარად გარდავქმნით ქმედებით,
გამოგონებით.
გონებით, მაგრამ უთუოდ მთავრობის მოწადინებით

ღმერთის წყალობით შევხარი ნუგეშის დღესა
ახლანდელს,
არამც და არამც ხავსიანს, გაყინულსა და უწინდელს,
აქანამდის რაცა გვჭირდა, ჩამორჩენილს და ადრინდელს,
გულით მწადია შევესწრო ვენახის მწკრივებს
ხვალინდელს.

სიცოცხლე დანაბადია, არსითა საკვირველია,
ვითა აზრები მგოსნისა, ვითარცა რუსთაველია,
ვინაც ხელთ იპყრო სახოტბო, ისიც ქვეყნისა მრთველია.
(ვაზის ფესვებზეც წერია, ძველი და სანუკველია)
ხოტბაშესხმული მთავრობა სამოთხის საძირკველია.

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი ფიქრები ვაფასე,
ზოგი ვადიდე, ვილხინე, ზოგიც კი ჩამოვაფასე,
სტრიქონები წაიკითხე, წალმით წნული შეაფასე,
ლექსი თუკი ხიბლსა მოგგვრის, სიცოცხლეში დამაფასე.

გულგასახარად ვიხაროთ შაირებით და შენებით,
აწ აღგვეწეროს ნატიფად ნაღვაწი ტკბილი ენებით,
პაპის პაპათა მიზნებით, პატივითა და გენებით,
შარა ვუმშვენოთ სამშობლოს დაუშრეტელი მშვენებით.

მეაზრება კიდევ მეტი ბაასობა ვაზთან, ქველთან,
ჟამსა ვპოვებ, წალამს ვიღებ საშაიროდ რუსთაველთან,
აწ ჟამია გადარჩენის, ხმობა გვმართებს დიდგორ ველთან,
პოემისა დედააზრი ზიარია ოქროს რთველთან.

ტკბილ მამულის სულს უსმინე, სუნთქვა მისი
თავად ნახე,
წინაპრების ნაღვაწარი მთელი სიღრმით დაინახე,
ნატერფალი ოქროდ ფასობს, შვილიშვილებს შეუნახე,
საქართველოს ფესვის საზრდო გაფურჩქვნილი
დაგვანახე!

*თამაზ ქვლივიძე*

P. S. ***მკითხველს უმორჩილესად ვთხოვ ორიოდე სიტყვით გამოხატოს თავისი აზრი ტელეფონზე 599 10 43 18 რუსთაველისთვის მიძღვნილ პოემაზე. ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება თქვენს შეფასებებს, რადგან ასეთივე ორიგინალურ საჩუქრებს ვუძღვნი ვაზსაც და მეფეთა მეფეს აღმაშენებელსაც.***

## ჭადრაკი

# ნანა იოსელიანის თასი საგარეჯოში დაბრუნდა

**ძალიან** კარგ ტრადიციას დაუდო სათავე საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, კახეთის, კონკრეტულად კი გურჯაანის ჭადრაკის ფედერაციასთან ერთად. წელს უკვე მესამედ ჩატარდა ნანა იოსელიანის თასის გათამაშება რეგიონის ნაკრებ გუნდებს შორის და სასიხარულოა, რომ საგარეჯოს გუნდი ყოველთვის უმაღლესი მიზნისათვის, ანუ პირველი ადგილისათვის იბრძვის.

2017 წელს, ანუ პირველ გათამაშებაში საგარეჯოს გუნდმა პირველი ადგილი და ნანა იოსელიანის თასი მოიპოვა (მწვრთნელები ირაკლი ქვლივიძე და ელენე ფარეშიშვილი), მისმა მონაწილეებმა კი (4 ბიჭი და 2 გოგონა) ოქროს მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

2018 წელს ჩვენი გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი მატჩი არ წაუგია, 5 მოიგო და სამი ფრედ დაამთავრა, მესამე ადგილს და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა, თასი კი თელავის ძლიერმა გუნდმა წაიღო.

წლეულს ტურნირი 14 წლამდელთა შორის ჩატარდა (2018 წელს 13 წლამდელთა, ხოლო 2017 წელს 12 წლამდელთა შორის გაიმართა). ალბათ დიდ საიდუმლოს არ გავამჟღავნებთ, თუ ვიტყვით, რომ ამის მიზეზი მასპინძელთა დიდმა სურვილმა – გამარჯვების გემო ეგრძნოთ – განაპირობა. რომ არა ასაკის ლიმიტის ზრდა, მათი ორი წამყვანი მოჭადრაკე ვერ შეძლებდა ტურნირში მონაწილეობას. პირველი შთაბეჭდილებით მათი გუნდი წლეულს ყველაზე ძლიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ



ფორტუნამ და საგარეჯოელთა მონდომებამ მათ მაინც ვერ შეძლეს თასის გურჯაანში დატოვება.

პირველ ტურში საგარეჯოელები სიღნაღის სუსტ გუნდს შეხვდნენ და 5:1 გაიმარჯვეს, თელავმა კი მოულოდნელად ფრედ ითამაშა ლაგოდეხის გუნდთან. ამ უკანასკნელს სამი ძლიერი მოჭადრაკე ჰყავს, განსაკუთრებით კი ტყუპი დები ანა და მარია ლიმარები გამოირჩევიან. მათ ერთგვარ ეშმაკობასაც მიმართეს – ძლიერი მოჭადრაკეები ბოლო დაფებზე დასვეს, ანუ მეტოქის ძლიერ მოჭადრაკეებთან სუსტები დასვეს, ხოლო ძლიერებმა მეტოქის ყველაზე „სუსტ წერტილებს“ შეუტიეს.

მათმა ამ ტაქტიკამ გასულ წელს ჩვენს გუნდთან გამოიღო შედეგი და ფრეს მიაღწიეს 3:3, ამჟამად კი თელაველებთან მიაღწიეს ფრეს და დააკარგვინეს ქულები.

მეორე ტურში საგარეჯოელები უკვე თელაველებს დაუპირისპირდნენ. შეხვედრა დრამატულად წარიმართა, პირველი პარტიები თელაველებმა მოიგეს, მაგრამ საბოლოოდ აქაც ფრე – 3:3 დაფიქსირდა.

გადამწყვეტი გამოდგა მეხუთე ტურის შეხვედრა გურჯაანსა და საგარეჯოს შორის, როცა ჩვენმა მოჭადრაკეებმა შეიძლება ითქვას გაანადგურეს გურჯაანის გუნდი 5:1 და ფაქტობრივად გაინაღდეს პირველი ადგილი. თავიანთი პარტიები მოიგეს: ლევან დალბაშვილმა (I დაფა), ზუკა გამრეკელაშვილმა (II დაფა), ფართლი საბრიმ (III დაფა), ნინი ესაიაშვილმა (გოგონების I დაფა) და მარიამ აგულაშვილმა (გოგონების II დაფა). მხოლოდ გუნდის დებიუტანტმა, ყველაზე პატარა მონაწილემ 7 წლის შიო შიოშვილმა დათმო თავისი პარტია და პრესტიჟის ქულა მოაპოვებინა გურჯაანელებს.

ამის შემდეგ იყო თელავისა და გურ-



ჯაანის გუნდების შეხვედრა. თელაველებს გამარჯვების შემთხვევაში კიდევ ჰქონდათ პირველი ადგილის დაკავების შანსი (თუ საგარეჯო ბოლო ტურში ქულას დაკარგავდა ლაგოდეხთან), მაგრამ ეს შეხვედრა ფრედ – 3:3 დასრულდა.

ბოლო ტურში საგარეჯოელები ლაგოდეხის გუნდს შეხვდნენ. თავიანთი პარტიები სწრაფად მოიგეს ნინი ესაიაშვილმა, ლევან დალბაშვილმა და მარიამ აგულაშვილმა (ამ უკანასკნელმა ლაგოდეხელთა ერთ-ერთი იმედი – 14 წლის გოგონა დაამარცხა; მარიამი 8 წლისაა) და ფაქტობრივად გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. მართალია, შიო შიოშვილმა დათმო თავისი შეხვედრა, მაგრამ დებმა ლიმარებმა ვერ შეძლეს ზუკა გამრეკელაშვილისა და ფართლი საბრის დამარცხება (ეს შეხვედრები ყაიმით დასრულდა) და საგარეჯომ 4:2 გაიმარჯვა.

ბოლოს გაიმართა დაჯილდოვების ცერემონია. გამარჯვებულებს თასი, ოქროს მედლები და 200 ლარიანი ვაუჩერები გადასცეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ და დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა. გარდა ამისა, მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძეს გადაეცა კახეთის ჭადრაკის ფედერაციის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ჯიმი ჯავახიას სახელობის თასი, რომელიც იყო ამ ტურნირის მოწყობის ინიციატორი, თუმცა ოცნების ასრულებას – ტურნირის ჩატარებას ვერ მოესწრო. ირაკლი ქვლივიძე ასევე გახდა გამარჯვებული გუნდის კაპიტნისათვის დაწესებული პრიზის – 600 ლარის მფლობელი.

ასე, რომ ნანა იოსელიანის თასი ისევ საგარეჯოში დაბრუნდა.

*ზურაბ აგულაშვილი*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com